საფინალო მატჩი "სსრ კავშირის თასზე"
მოსკოვი "დინამო" – თბილისი "დინამო"

16 ივლისს მოსკოვში "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა "სსრ კავშირის თასის" გათამაშების უკანასკნელი (მე-7) წრე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის "დინამოელები".

მე-23 წუთზე მარჯვენა გარემარბის გავაშელის მიერ მიწოდებული ბურთით მარცხენა ინსაიდი ვლ. ბერძენიშვილი ხსნის ანგარიშს. მალე მოსკოველებმა ანგარიში "პენალტით" გაქვითეს და რამოდენიმე წუთის განმავლობაში გააქვთ კიდევ ორი ბურთი.

პირველი ტაიმი მთავრდება ანგარიშით 3:1.

მეორე ტაიმი თბილისელების შეტევით იწყება, მაგრამ "დინამოს" თავდაცვა თავგამოდებით იცავს თავის კარებს. უხეში თამაშის გამო მოსკოველები დაჯარიმებული იქნენ "პენალტით". მ. ბერძენიშვილის ძლიერი დარტყმა ადიდებს ანგარიშს თბილისელების სასარგებლოდ.

მოსკოველებს თამაში თბილისის მხარეზე გადააქვთ და კიდევაც გააქვთ მეოთხე ბურთი 4:2. ორი წუთის შემდეგ თბილისელების ბადეში ეხვევა მეხუთე და უკანასკნელი ბურთი 5:2. თამაშის დამთავრებამდე ანგარიში არ იცვლება და მატჩი მთავრდება მოსკოვის "დინამოს" სასარგებლოდ ანგარიშით 5:2.

აღსანიშნავია თბილისის კაპიტნის შ. შავგულიძისა და მეკარის დოროხოვის შესანიშნავი თამაში, რომლებმაც არაერთხელ გადაარჩინეს გუნდი ანგარიშის გადიდებისაგან.

თამაშის დამთავრებისას სტადიონზე გამოვიდნენ მოსკოვში მყოფი თასზე გათამაშების მონაწილე 1 გუნდი.

"სსრ კავშირის თასი" ზეიმით გადაეცა მოსკოვის გუნდის კაპიტანს ამხ. ილინს.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 18 ივლისი 1937 წ.